



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
თ ე რ ჯ ო ლ ა  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 28

21/03/2018

**„ავთანდილ ჩუბინიძის შვებულების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2018 წლის 28 თებერვლის N46/22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ავთანდილ ჩუბინიძის შვებულების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N46/22 ბრძანებაში და ბრძანების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული“ საქართველოს თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა ვერულაშვილმა. გოჩა ვერულაშვილს მიეცეს ფრაქციის თავმჯდომარის 2018 წლის მარტის თვის კუთვნილი ლიმიტები. გოჩა ვერულაშვილს საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების პერიოდში დაერიცხოს თანამდებობრივი სარგო საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.“

**მუხლი 2.** ბრძანება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს აპარატის უფროს სპეციალისტს საკადრო საკითხებში.

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.N67), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო